ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ.ვანი თავისუფლების N65 15 მაისი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი..

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: *ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი -* ***ზვიად კაპანაძე.***

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერბილაკის მარკის, 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA071B) ა(ა)იპ ,,ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე“ თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს:ზვიად კაპანაძე.

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, კომისიის წევრებს გააცნო განკარგულები პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერბილაკის მარკის, 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA071B) ა(ა)იპ ,,ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე" თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს (ა.გოგორიშვილს) მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული კატერპილარის მარკის, 428D მოდელის ექსკავატორის (სარეგისტრაციო ნომერი BA 071 B) ა(ა)იპ ,,ვანის კომუნალურ გაერთიანებაზე" თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე".

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

/დანართი N2/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე